საარქივო საქმე (ზოგადი)

კურსის მიზანი:

საარქივო საქმის სფეროში მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. საარქივო საქმის ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის გაცნობა, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა.

კურსი განკუთვნილია:

მათთვის, ვინც მუშაობს საარქივო საქმესთან დაკავშირებულ სფეროებში და საჭიროებს ამ საგანში ცოდნის გაღრმავებას, იწყებს სამსახურს ამ დარგში ან უკავია მენეჯერის პოზიცია ნებისმიერ სფეროში და როგორც მენეჯერს, აინტერესებს უფრო ღრმად შეისწავლოს დოკუმენტების დამუშავებისა და დაარქივების თავისებურებანი.

კურსის თემატიკა:

- ✓ დაწესებულების არქივის მუშაობის ორგანიზაცია, მისი ამოცანები ფუნქციები და მოვალეობები;
- ✓ დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტების შენახვის ვადები - საუწყებო ნუსხის შედგენა;
- ✓ საქმეთა ნომენკლატურა და მისი სახეობები;
- ✓ დაწესებულებაში საქმეთა ფორმირება;
- ✓ დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა;
- ✓ დაწესებულების არქივში მისაღებ საქმეთა გაფორმება;
- ✓ მოთხოვნები არქივის სათავსებისადმი და დოკუმენტების შენახვის რეჟიმები;
- ✓ დაწესებულების დოკუმენტური და სარქივო ფონდი;
- ✓ არქივის სააღრიცხვო დოკუმენტების სისტემა და სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება;
- ✓ საქმეთა ანაწერები;
- ✓ არქივის დოკუმენტების გამოყენება - სოციალურ სამართლებრივი ხასიათის შეკითხვების შესრულება.

საკანონმდებლო ბაზა:

1. იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის ბრძანება №174 "დაწესებულებათა არქივები მუშაობის წესების შესახებ";
2. იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 22 ნოემბრის ბრძანება №362 "დაწესებულებებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებით შესანახვის ზღვრული ვადების შესახებ";
3. იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №72 "დაწესებულების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) დამტკიცების შესახებ";
4. იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №70 "ელექტრონული მატარებელის სახით შესანახი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ";

კურსის ხანგრძლივობა: 10 აკადემიური საათი

კურსის წევრების მაქსიმალური რაოდენობა: 10 კაცი

კურსს წარუძღვებიან: ეროვნული არქივის სპეციალისტები

კურისი ღირებულება: 150 ლარი (საფასურის გადახდა ხდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობის, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ", 1 მუხლის, მე-4 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად).

კურსის დასრულების შემდეგ ტესტირების საფუძველზე გაიცემა სერტიფიკატი.